

## სატენდერო განცხადება სოციოლოგიური კვლევა

საქართველოს სტრატეგიული კვლევებისა და განვითარების ცენტრის (CSR DG) მომხმარებლის უფლებების დაცვის პროგრამა, ევროკავშირის მხარდაჭერით მიმდინარე პროექტის „გაზრდილი სასოფლო-სამეურნეო პრაქტიკა და მომხმარებელთა ცნობიერება“ ფარგლებში აცხადებს ტენდერს სოციოლოგიური კვლევის ჩასატარებლად - *საქართველოს მოსახლეობის ცოდნის, დამოკიდებულებებისა და ქცევის შესწავლა სურსათის უვნებლობასთან და ამ მიმართულებით მიმდინარე რეფორმებთან დაკავშირებით.*

### ინფორმაცია ორგანიზაციის შესახებ:

საქართველოს სტრატეგიული კვლევებისა და განვითარების ცენტრი საზოგადოებრივი ორგანიზაციაა, რომელიც 1995 წელს დაფუძნდა. მისი მისიაა, საქართველოში საზოგადოების კეთილდღეობისათვის, კარგი მმართველობის, მდგრადი, ინკლუზიური ეკონომიკური განვითარებისა და აქტიური სამოქალაქო საზოგადოების ფორმირების ხელშეწყობა.

ორგანიზაციის შესახებ სრული ინფორმაციისათვის იხილეთ საიტი <https://csrdg.ge/>.

საქართველოში მომხმარებლის უფლებების დაცვის ეფექტიანი სისტემის ჩამოყალიბების ხელშეწყობის მიზნით ორგანიზაცია 2009 წლიდან მუშაობს და ამ მიმართულებით მისი ძირითადი საქმიანობებია: საზოგადოების ცნობიერების ამაღლება, სახელმწიფო სტრუქტურების საქმიანობისა და ბაზრის მონიტორინგი; საკანონმდებლო რეფორმების ადვოკატირება.

მეტი ინფორმაცია მომხმარებლის უფლებების დაცვის პროგრამის შესახებ იხილეთ საიტზე [momxmarebeli.ge](http://momxmarebeli.ge).

### ინფორმაცია პროექტის შესახებ

ტენდერი ცხადდება ევროკავშირის „სოფლის მეურნეობისა და სოფლის განვითარების ევროპის სამეზობლო პროგრამის“ (ENPARD – Georgia) მეოთხე ფაზის (ENPARD IV) ფარგლებში დაფინანსებული პროექტის „გაზრდილი სასოფლო-სამეურნეო პრაქტიკა და მომხმარებელთა ცნობიერება“ მიერ. პროექტს ახორციელებს კოალიცია, რომელშიც შედიან საქართველოს ფერმერთა ასოციაცია (წამყვანი პარტნიორი), საქართველოს სტრატეგიული კვლევებისა და განვითარების ცენტრი და საქართველოს მთიანი რეგიონების ამბროლაურის რაიონის ფერმერ-მეფუტკრეთა ასოციაცია.

პროექტი მიზნად ისახავს:

1. მერძეეობისა და მეფუტკრეობის მიწოდების ჯაჭვის მხარეების (ფერმერები, ძირითადი მწარმოებლები, სურსათის სხვა ბიზნესოპერატორები) პრაქტიკული უნარ-ჩვევებით, ცოდნითა და გაძლიერებული შესაძლებლობებით აღჭურვა, რათა გაუმჯობესდეს მათი საქმიანობის შესაბამისობა სურსათის უვნებლობისა და სანიტარიულ/ფიტოსანიტარიულ ნორმებთან;
2. დაინტერესებული მხარეების (საჯარო, საცალო ვაჭრობის, ფერმერების/მწარმოებლების, ლაბორატორიების, მომხმარებლების) გაუმჯობესებული კომუნიკაცია და მონაწილეობა ევროკავშირთან ღრმა და ყოვლისმომცველი თავისუფალი სავაჭრო სივრცის (DCFTA) შესახებ შეთანხმებით გათვალისწინებულ რეფორმის პროცესში;

3. მომხმარებლების, სამოქალაქო საზოგადოების ჯგუფებისა და მედიის ცნობიერების ამაღლება სურსათის უვნებლობის მარეგულირებელი მოთხოვნებისა და მომხმარებლის უფლებების შესახებ, უკეთ ინფორმირებული მომხმარებლის და მისი ყიდვის გაცნობიერებული გადაწყვეტილების და ხარისხიან პროდუქტზე გაზრდილი მოთხოვნის ხელშეწყობის მიზნით.

### **კვლევის შესახებ**

*კვლევის მიზანია საქართველოს მოსახლეობის ცოდნის, დამოკიდებულებებისა და ქვეყნის შესწავლა სურსათის უვნებლობასთან და ამ მიმართულებით მიმდინარე რეფორმებთან დაკავშირებით.*

კვლევამ უნდა მოიცვას შემდეგი საკითხები:

- გავრცელებული მითები და მცდარი წარმოდგენები.
- ინფორმაციის წყაროები.
- ინფორმირებულობის დონე.
- მოსახლეობისათვის მნიშვნელოვანი საკითხები.
- მეწარმეების, სახელმწიფო უწყებების, ევროკავშირის საქმიანობა და მათდამი ნდობა.
- რეაგირება დარღვევებზე და სხვა.

კვლევის შედეგები უნდა დაეხმაროს CSRDG-ს სურსათის უვნებლობის სფეროში სამოქალაქო განათლებისა და მონაწილეობის კუთხით დაგეგმილ საქმიანობაში.

კვლევის მეთოდოლოგია, ინსტრუმენტები და სხვა დეტალები შეიძლება დაზუსტდეს ტენდერის გამარჯვებულის გამოვლენის შემდეგ, დამკვეთთან თანამშრომლობით.

კვლევის შედეგების ამსახველი დეტალური ანგარიში უნდა მომზადდეს ქართულ და ინგლისურ ენებზე. შედეგები წარმოდგენილი უნდა იყოს, როგორც განზოგადებულად, მთელი ქვეყნის მასშტაბით, ისე სხვადასხვა ასაკობრივი, ეთნიკური ჯგუფების, თბილისის, რეგიონული ქალაქებისა და სოფლის მოსახლეობის მიხედვით, გენდერულ ჭრილში.

უნდა მოეწყოს კვლევის ანგარიშის საჯარო პრეზენტაცია, რომლის ორგანიზებასაც დამკვეთი მოახდენს.

შემსრულებელი ვალდებული იქნება პრეზენტაციაში მონაწილეობა მიიღოს და კვლევის შედეგები წარადგინოს.

კვლევის ჩატარების ვადაა 2023 წლის თებერვალ-მაისი (კვლევის ინსტრუმენტების შემუშავებისა და ანგარიშის პრეზენტაციის ჩათვლით). საბოლოო განრიგი ტენდერში გამარჯვებულთან შემდგომ ეტაპზე შეთანხმდება.

### **ვის შეუძლია ტენდერში მონაწილეობა?**

ტენდერში მოწვეული არიან სოციოლოგიური კვლევების ჩატარებაში გამოცდილი ორგანიზაციები.

### **სატენდერო განაცხადი**

სატენდერო განაცხადი უნდა მომზადდეს ქართულ ენაზე, PDF ფორმატში და მოიცავდეს შემდეგ დოკუმენტაციას/ინფორმაციას:

- ორგანიზაციის გამოცდილებისა და კვალიფიკაციის აღწერილობა.

- კვლევის განმახორციელებელი გუნდის CV-ები.
- კვლევის მეთოდოლოგიის მონახაზი.
- კვლევის მომზადებისა და შედეგების წარდგენის საორიენტაციო განრიგი.
- კვლევის ფარგლებში შესასწავლი საკითხების ჩამონათვალი (ზემოთ მითითებული საკითხების დაკონკრეტება).
- კვლევის ბიუჯეტი (ლარში).
- ორგანიზაციის მიერ ბოლო პერიოდში ჩატარებული, სულ მცირე, სამი კვლევის ანგარიში, ან ანგარიშის ონლაინბმული.
- საკონტაქტო მონაცემები.

**განაცხადები უნდა გაიგზავნოს ელფოსტის მისამართზე [tamar.gobejishvili@csrdg.ge](mailto:tamar.gobejishvili@csrdg.ge).**  
წერილის საგნის ველში მიუთითეთ „სოციოლოგიური კვლევა“.

**განაცხადების მიღების ბოლო ვადაა 2023 წლის 7 თებერვალი.**  
ტენდერის მონაწილეებს გაეგზავნებათ განაცხადების მიღების დასტურები.

განაცხადების წარდგენიდან 2-3 კვირის მანძილზე, ტენდერის ყველა მონაწილე მიიღებს CSRDG-ს წერილობით პასუხს, მისი განაცხადის შერჩევასთან დაკავშირებით.

**ტენდერთან დაკავშირებით კითხვების შემთხვევაში** შეგიძლიათ მიმართოთ CSRDG-ის მომხმარებლის უფლებების დაცვის პროგრამის კოორდინატორს, ვახტანგ კობალაძეს, [vakhtang.kobaladze@csrdg.ge](mailto:vakhtang.kobaladze@csrdg.ge), 557 000 261.